რუსეთის ჰიბრიდული ომი

საკითხის მოკლე მიმოხილვა და არსებული ტენდენციები



სანდრო მეგრელიშვილი

რუსეთის ჰიბრიდული ომი – საკითხის მოკლე მიმოხილვა და არსებული ტენდენციები

ავტორი: **სანდრო მეგრელიშვილი**

თბილისი

2024

პუბლიკაციის შესახებ

წინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ ასახავს ან წარმოადგენს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (CSD) ან შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

შინაარსი

შესავალი 1

ჰიბრიდული ომის განმარტება 2

რუსეთის ჰიბრიდული ომი 4

საინფორმაციო ოპერაციები 8

კიბერთავდასხმები 10

პრორუსული ძალების მხარდაჭერა 12

მიგრაციის ინსტრუმენტალიზაცია 13

სხვადასხვა ტიპის ძირგამომთხრელი ქმედებები. 15

დასკვნა. 17

ბიბლიოგრაფია 19

შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის ღია ინტერვენციამ და თანმდევმა დამანგრეველმა ომმა მნიშვნელოვანად შეცვალა დასავლეთში კონფლიქტებისა და ომის შესახებ არსებული დისკურსი. თუკი 2022 წლამდე აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში განხილვის წამყვან თემას ჰიბრიდული ომი წარმოადგენდა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ ყურადღების ცენტრში ისევ ომის ტრადიციული ფორმები მოექცა. აღნიშნული ტრანსფორმაცია ლოგიკური და გასაგებია რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებებისა და ომში კონვენციური ფორმების დაბრუნების ფონზე. რუსეთ-უკრაინის ომმა, რომელიც თავისი მასშტაბით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ყველაზე დიდი ომია, ფუნდამენტურად შეცვალა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აღქმები და მოლოდინები.

თუმცა, აღნიშნულის პარალელურად, ჰიბრიდული ომი, როგორც მოვლენა, არსად გამქრალა. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ამ ფენომენზე ყურადღება შედარებით ნაკლებად მახვილდება, ავტოკრატიული და რევანშისტული სახელმწიფოებისათვის ის კვლავ რჩება პოლიტიკური მიზნების მიღწევის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად, რაც მკაფიოდ იკვეთება რუსეთის მოქმედებებშიც - უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების პარალელურად, კრემლი ამ მომენტამდე სისტემატურად იყენებს ჰიბრიდული ომისათვის დამახასიათებელ მეთოდებს. წინამდებარე ნაშრომი შეეცდება, მიმოიხილოს რუსეთის ჰიბრიდული ომის ფენომენი და გაანალიზოს მისი ბოლოდროინდელი გამოვლინებები და ტენდენციები.

უპირველესად, ჰიბრიდულ ომზე მსჯელობისას უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ამ საკითხის ირგვლივ მომზადებული უამრავი ნაშრომისა, თავად ტერმინის განმარტებასთან დაკავშირებით კვლავ გარკვეული ბუნდოვანება არსებობს. ჰიბრიდული ომის ცნება საკმაოდ კომპლექსური და ამავე დროს სხვადასხვა მნიშვნელობებით დატვირთულია, რაც ხელს უშლის საკითხის სიღრმისეულ ანალიზს. რუსეთის ჰიბრიდული ომის უკეთ გასააზრებლად აუცილებელია თავად ამ ტერმინის უკეთ გაგება.

ჰიბრიდული ომის, როგორც ახალი კონცეფციის, ავტორად ამერიკელი ოფიცერი, ფრენკ ჰოფმანი მიიჩნევა. თანამედროვე ეპოქაში ომის ტრანსფორმაციის შესახებ დისკუსიები მანამდეც არსებობდა, თუმცა უშუალოდ **„ჰიბრიდული ომის“**, როგორც ახალი ცნების, დამკვიდრებას და აკადემიურ, სამხედრო თუ პოლიტიკურ წრეებში შესაბამისი აქტიური მსჯელობის განვითარებას საფუძველი სწორედ ჰოფმანმა დაუდო 2007 წელს გამოქვეყნებული სტატიით **„კონფლიქტები 21-ე საუკუნეში: ჰიბრიდული ომის აღმოცენება“**. ჰოფმანის მიხედვით, ჰიბრიდული ომის უმთავრესი მახასიათებელი აქტორების მიერ ომის სხვადასხვა მეთოდების ერთდროული გამოყენებაა, მათ შორის კი მოიაზრება ომის არაკონვენციური საშუალებებიც: *„ჰიბრიდული ომები აერთიანებენ ომის სხვადასხვა მეთოდებს, მათ შორის კონვენციურ საშუალებებს, არარეგულარულ ტაქტიკებსა და ფორმაციებს, ტერორისტულ აქტებსა და კრიმინალს...“ (2007, გვ. 29).* მისივე თქმით, შერეული მეთოდების გამოყენება უწინაც მომხდარა, თუმცა ჰიბრიდული ომი იმითაა უნიკალური, რომ სხვადასხვა ტაქტიკის მიზანმიმართული და კოორდინირებული გამოყენება ომის ერთსა და იმავე თეატრში ხდება, რაც საბოლოოდ სინერგიულ ეფექტს ქმნის (2007, გვ. 29).

ნიშანდობლივია, რომ ფრენკ ჰოფმანი ამ ფენომენს სწორედ არასახელწიფო აქტორების ჭრილში განიხილავს. კერძოდ, იგი აანალიზებს 2006 წლის ლიბანის ომს, რომელშიც *“...ისრაელის თავდაცვის ძალების რეპუტაცია და სანდოობა შესუსტდა, ხოლო ჰეზბოლა, იდეოლოგიური თვალსაზრისით, გაძლიერდა“ (2007, გვ. 38).* ფრენკ ჰოფმანის მიერ სწორედ ჰეზბოლა იქნა მიჩნეული ჰიბრიდულ საფრთხედ, რომლის წარმატება, ერთი მხრივ, განაპირობა

სხვადასხვა ტექნოლოგიების ეფექტიანმა გამოყენებამ, ხოლო მეორე მხრივ - ბრძოლის პარალელურად წარმოებულმა საინფორმაციო ოპერაციებმა. ამგვარად, ჰიბრიდული ომის პირობებში, ერთი მხარის მიერ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდების მიზანმიმართული, კოორდინირებული გამოყენება შესაძლებელს ხდის ოპონენტის სისუსტეების გამოყენებას და ძლიერი მხარისთვის, სულ მცირე, გარანტირებული გამარჯვების მიღწევის შეფერხებას.

არსებითია ის, რომ ჰიბრიდული ომის ჰოფმანისეული გაგება ფოკუსირებულია საომარ მოქმედებებზე, ხოლო მისი ანალიზი ომის ტაქტიკური და ოპერატიული განზომილებებით შემოიფარგლება. მოგვიანებით, ჰიბრიდული ომის თემაზე შექმნილი ლიტერატურის გამრავალფეროვნებასთან ერთად, განსაკუთრებით 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ, აღნიშნული ცნება გადაიხედა და მან ახალი კონოტაცია შეიძინა. ახლებური გაგებით, ჰიბრიდული ომი ფართო სტრატეგიას წარმოადგენს, რომელმაც გრძელვადიანი პოლიტიკური შედეგი უნდა უზრუნველყოს. *„...ბუნდოვანი ძალის გამოყენების ტენდენცია ფიქსირდება სტრატეგიულ დონეზე. ის აღარ არის უბრალოდ ტაქტიკური საშუალება. ის თავად არის სტრატეგია“ (Mumford, 2020, გვ. 825).* ნატოს თავდაცვის კოლეჯის პუბლიკაციაში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, ჰიბრიდული ომი აერთიანებს *„...კონვენციურ და არაკონვენციურ საფრთხეებს და დამაკავშირებელი ხიდის როლს ასრულებს ხისტ და რბილ ძალას შორის.“ (Palmer, 2015, გვ. 2).* ჰიბრიდული ომის ამგვარ გაგებაში სამხედრო კომპონენტი მეორეხასისხოვანია, თუმცა ის არ გამორიცხავს ამ ელემენტის აქტიურ გამოყენებას. კინეტიკური მეთოდები, მათ შორის როგორც კონვენციური, ისე არაკონვენციური მიდგომის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუალებად რჩება.

ჰიბრიდული ომის აღნიშნული განმარტება, რომელიც შედარებით მოგვიანებით დამკვიდრდა, რუსეთის ჰიბრიდული ომის გასააზრებლად და გასაანალიზებლად მეტად გამოსადეგია. მეტიც, ჰიბრიდული ომის ტაქტიკურ-ოპერატიული განზომილებიდან სტრატეგიულ განზომილებაში დანახვა უშუალოდ რუსეთის ქმედებებმა განაპირობა, მათ შორის კრემლის მიერ როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო მეთოდების სისტემატურმა და მიზანმიმართულმა გამოყენებამ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, რაც მოგვიანებით ჰიბრიდულ ომად „მოინათლა“, თავდაპირველად პრაქტიკაში რუსეთმა დანერგა.

ავტორიტეტულმა ჟურნალმა ,,სამხედრო ბალანსმა" რუსეთის ჰიბრიდული ომი შემდეგნაირად დაახასიათა: *„....სამხედრო და არასამხედრო საშუალებების გამოყენება ერთიანი კამპანიის ფარგლებში, რომელიც აგებულია იმგვარად, რომ შექმნას მოულოდნელობის ეფექტი, ხელთ იგდოს ინიციატივა და მოიპოვოს როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური უპირატესობა. ამისთვის გამოიყენებს დიპლომატიურ საშუალებებს, კომპლექსურ და ჩქარ საინფორმაციო, ელექტრონულ და კიბეროპერაციებს, ფარულ და ღია სამხედრო-სადაზვერვო ქმედებებს და ეკონომიკურ ზეწოლას" (The Military Balance, 2015, გვ. 5)* აღნიშნულ განმარტებაში ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფო სხვადასხვა მეთოდების გამოყენებას ერთიანი კამპანიის ფარგლებში ახდენს. შესაძლოა ამა თუ იმ ოპერაციაში მეთოდები დამოუკიდებლად ან შერწყმით გამოიყენებოდეს, თუმცა აქ არსებითია გარემოება, რომ ისინი ერთი დიდი სტრატეგიის შემადგენელს წარმოადგენენ.

ჰიბრიდული ომის ეფექტიანობას დიდწილად სხვადასხვა საშუალების სინქრონული გამოყენება უზრუნველყოფს, რაც ომში მაქსიმალურ ეფექტს ქმნის, თუმცა მისი მიმზიდველობა, გარდა ეფექტიანობისა, შედარებით დაბალი ხარჯიანობითაც აიხსნება. ჰიბრიდული ომის უშუალო ადამიანური თუ მატერიალური ფასი, სტანდარტულ კონვენციურ ოპერაციებთან შედარებით, გაცილებით მცირეა. რუსეთისათვის, რომლის რესურსები და გეოპოლიტიკური ამბიციები ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის, ჰიბრიდული ომი შედარებით ეკონომიურ გამოსავალს წარმოადგენს. *„იმ მითების ფონზე, რომლებიც რუსეთის, როგორც ომის მანქანის შესახებ არსებობს, უნდა ითქვას, რომ ისინი ხშირად ზედმეტად გადაჭარბებულია. რეალურად კრემლს რესურსები არ ჰყოფნის" (Galeotti, 2016, გვ. 297).*

ამასთან, ჰიბრიდული ომის ბუნდოვანი და ფარული ხასიათი გულისხმობს, რომ ის ღია, გამოცხადებული ომის ზღვარს ქვემოთაა. ჰიბრიდული მოქმედებების არსი მის გაურკვევლობასა და დანაშაულის ორგანიზატორის იდენტიფიცირების სირთულეშია. იმ პირობებშიც კი, როდესაც ამა თუ იმ ტაქტიკით სარგებლობისას უშუალოდ სამხედრო მეთოდების გამოყენება ხდება, სახელმწიფოს შეუძლია აგრესიულ ქმედებებზე პასუხი არ აგოს. ჰიბრიდული მეთოდები თავის თავში მოიაზრებს ნებისმიერ ქმედებასთან კავშირის უარყოფის შესაძლებლობას მაშინაც კი, როდესაც მოტივი და შემკვეთი ყველასთვის ნათელია. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ რუსეთის ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი სწორედ მის მიერ განხორციელებულ მტრულ აქტებთან კავშირის მუდმივი უარყოფაა.

რუსეთის ჰიბრიდულ ომს მკაფიოდ გამოკვეთილი მიზანი არ აქვს. არსებობს სურვილებისა და მიზნების ერთმანეთთან დაკავშირებული ერთობლიობა, რომელიც საკმაოდ ვრცელ სიას ქმნის: <u>რუსეთის ძველი გავლენების და ე.წ. დიდი ძალის სტატუსის დაბრუნება</u>; <u>დასავლურ სახელმწიფოებში ინსტიტუტების დელეგიტიმაცია და რღვევა</u>; <u>დასავლურ საზოგადოებებში ნდობის დაკარგვის გამოწვევა</u>; <u>მტრულად განწყობილი მთავრობების დასუსტება ან შეცვლა</u>; <u>ევროპასა და ამერიკას შორის შუღლის ჩამოგდება და მათი კავშირების შესუსტება</u>; <u>ნატოსა და ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციების, ლეგიტიმაციის დაკარგვა და დაშლა</u>; <u>პოსტ-საბჭოთა სივრცეში დომინანტური სტატუსის აღდგენა</u>; <u>დასავლური ღირებულებების დელეგიტიმაცია და ალტერნატიული მსოფლხედველობის პოპულარიზაცია</u>; <u>ავტოკრატიული რეჟიმების ხელშეწყობა</u>; არსებული საერთაშორისო წესრიგის ჩამოშლა და, რუსეთის ინტერესების შესაბამისად ახალი სისტემის ჩამოყალიბება. ჩამონათვალი აქ არ მთავრდება, შესაძლოა კიდევ არაერთი მიზანი დაემატოს, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს ამჟამინდელ სულისკვეთებას შეესაბამება და გამოხატავს.

არსებითია ის გარემოება, რომ მიუხედავად საკმაოდ ფართო და ზოგადი მიზნებისა, რომელიც სხვადასხვა ავტორების ნაშრომებში, სახელმწიფო დოკუმენტებსა თუ მაღალჩინოსანთა განცხადებებშია გაბნეული, კრემლის მიმართულება მკაფიოდ არის გამოხატული, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს ქცევის ზოგად ბუნებას განსაზღვრავს და სხვადასხვა უწყებისთვის ეფექტიანი მაორიენტირებელია. ჩამოთვლილი მიზნების ერთობლიობა წარმოადგენს გარკვეულ „ქოლგას“, რომელიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ სახელმწიფო მეთოდებს ერთიან სისტემაში აქცევს და მათი კოორდინირებულად გამოყენების წინაპირობას ქმნის.

მსჯელობის საგანს ასევე წარმოადგენს ის, თუ რა დონეზეა პროცესები ცენტრალიზებული და რომელი უწყება უზრუნველყოფს მოქმედებათა სინქრონულ მიმდინარეობას. მარკ გალეოტის მიხედვით, სტრატეგიულ დონეზე ძირითად მიმართულებას რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი განსაზღვრავს და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს. შემდეგ ეტაპზე ცენტრალურ ფუნქციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ასრულებს, რომელიც 2,000-მდე თანამშრომელს აერთიანებს. „პრეზიდენტის ადმინისტრაცია პრეზიდენტს პოლიტიკის ფორმირებაში ეხმარება, აღმასრულებელ უწყებებთან კომუნიკაციას უზრუნველყოფს და განხორციელებას უწევს მონიტორინგს... პრეზიდენტის ადმინისტრაცია არის მძლავრი და კომპლექსური უწყება, რომლის გავლენა კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებს სცდება“ (Galeotti, 2017, გვ. 10). არსებული ინფორმაციით, ამა თუ იმ ოპერაციაზე ნებართვის გა-

ცემა სწორედ ამ უწყებაში ხდება. ქვედა დონეზე კი, სპეციალიზაციის მიხედვით, უწყებებს გააჩნიათ გარკვეული თავისუფლება, თავად შეარჩიონ სამოქმედო გზები. *„ინდივიდები და უწყებები ცდილობენ განსაზღვრონ, თუ როგორ შეუძლიათ მათ ხელთ არსებული ინსტრუმენტებისა და შესაძლებლობების ისე გამოყენება, რომ დასახული მიზნების მიღწევას ხელი შეუწყონ და კრემლს ასიამოვნონ“ (Galeotti, 2017, გვ. 9).*

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში არაერთი სტრუქტურული რეფორმა განხორციელდა, რომელიც ხელს უწყობს ჰიბრიდული ომის ეფექტიან წარმართვას. მაგალითად, 2018 წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტროში სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტი შეიქმნა, რომლის მიზანია *„...აქტიური ინფორმაციული თავდაცვა და დასავლეთის ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ კონტრშეტევა“ (Adamsky, 2021, გვ.1).* უწყებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აქვს წინასაომარ და ომის დროს მიმდინარე საინფორმაციო ოპერაციებში.

რთულია ზუსტად განვსაზღვროთ რუსეთის მიერ დასავლეთის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის დაწყების ზუსტი თარიღი. ეს განპირობებულია თავად ჰიბრიდული ომის ბუნებით, რომლის დროსაც დაპირისპირება ე,წ. რუხ სივრცეში რჩება. რუსეთში ტერმინი მხოლოდ 2010-იან წლებში დამკვიდრდა. რუსმა სამხედრო ოფიცერმა, რომელსაც ხშირად მიაწერენ რუსეთის ჰიბრიდული ომის ავტორობას, ეს ცნება საკუთარ პუბლიკაციებში პირველად მხოლოდ 2016 წელს გამოიყენა (გერასიმოვი, 2016), თუმცა შესაბამისი განცხადებები და მოქმედებები უფრო ადრინდელ პერიოდზე, 2007 წელზე მიუთითებს, როდესაც *„...რუსეთი საკუთარი გეოპოლიტიკური ადგილის თანმიმდევრულ გადახედვას იწყებს“ (ანთაძე, 2024).* 2007 წელს შედგა ვლადიმერ პუტინის ცნობილი გამოსვლა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, როდესაც მან ღიად გამოთქვა უკმაყოფილება არსებული საერთაშორისო წესრიგის მიმართ (Fried and Walker, 2022). იმავე წელს ესტონეთის წინააღმდეგ, რუსეთის მხარდაჭერითა და ორგანიზებით, პირველი მასშტაბური კიბერთავდასხმა განხორციელდა, რომელიც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია.

დროთა განმავლობაში რუსეთის მიერ სხვადასხვა მეთოდებისა თუ ძირგამომთხრელი საშუალებების გამოყენებამ სისტემატური ხასიათი მიიღო, მოქმედების არეალი კი - გაფართოვდა. 2014 წელს, ყირიმის ანექსიისა და თავად ამ მოვლენის გააზრების შემდეგ, პოლიტიკურ და აკადემიურ წრეებში დამკვიდრდა შეხედულება, რომ რუსეთი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად აქტიურად აწარმოებს ჰიბრიდულ ომს როგორც მის სამეზობლოში, ისე გლობალური მასშტაბით.

დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებულ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში ახალი ეტაპი 2022 წლიდან დაიწყო. გარდა რუსეთ-უკრაინის ომისა, რომელშიც კონვენციური ომის ფორმები დომინირებს, გარკვეული ცვლილებები შეეხო რუსეთის ჰიბრიდულ ომსა და მის მიერ გამოყენებულ მეთოდებს. რუსეთმა ომის პარალელურად ზოგიერთი მის ხელთ არსებული ინსტრუმენტის უფრო ინტენსიური გამოყენება დაიწყო. ამასთან, გამოიკვეთა დამატებითი, სპეციფიკური ამოცანები, რომლებიც წინა პერიოდის ჰიბრიდულ ომს არ ახასიათებდა და უშუალოდ უკრაინის მხარდაჭერის შეჩერებისკენ ან შეფერხებისკენაა მიმართული. ქვემოთ განხილულია ის ინსტრუმენტები და ტენდენციები, რომლითაც ეს პერიოდი ხასიათდებოდა.

რუსეთი საკუთარ არსენალში არაერთ ინსტრუმენტს ფლობს ჰიბრიდული ომის საწარმოებლად, - როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო საშუალებებს. რობერტ სილის მიხედვით, ამ ტიპის ომისათვის რუსეთი, სულ მცირე, 50 სხვადასხვა მეთოდს იყენებს (Seely, 2018). წარმოდგენილ ნაშრომს არ აქვს პრეტენზია, აღწეროს თითოეული მათგანი დეტალურად, თუმცა ქვემოთ განხილული იქნება ის საშუალებები, რომლებიც წამყვანი მნიშვნელობისაა და უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთის მიერ აქტიურად გამოიყენება. ამასთან, რუსეთი ჰიბრიდულ ომს არაერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ აწარმოებს, რომელთა შორის საქართველოცაა, თუმცა ნაშრომი კონცენტრირდება რუსეთის ჰიბრიდული ომის იმ გამოვლინებებზე, რომელიც უშუალოდ ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგაა მიმართული.

საინფორმაციო ოპერაციები

ჰიბრიდული ომის მიზნების მისაღწევად ცენტრალური მნიშვნელობა საინფორმაციო ოპერაციებს აქვს. ამ კომპონენტის განსაკუთრებულობა იმ თეორიულ მსჯელობებშიც იკვეთება, რომლებიც წინ უძღვოდა ან თან სდევდა რუსეთში ჰიბრიდული ომის პრაქტიკაში განხორციელებას (Friedman, 2018). როგორც ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტს, რუსეთის საინფორმაციო ოპერაციებს საკმაოდ ფართო მიზნები გააჩნია. მათ შორისაა: მგძნობიარე თემებით მანიპულირება და დემოკრატიული საზოგადოებების სხვადასხვა ჯგუფებს შორის დაპირისპირების გაღვივება, პოლარიზაციის გამწვავება, დემოკრატიული ინსტიტუტების რღვევის ხელშეწყობა, და სხვა, თუმცა არსებობს უფრო კონკრეტული ამოცანებიც, რომლებიც ახლო და საშუალოვადიან პერსპექტივაში პოლიტიკურ შედეგებზეა ორიენტირებული. ასეთი კონკრეტული ამოცანები უკრაინაში რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის შემდეგ წარმოიშვა. კერძოდ, საომარი მოქმედებების ლოგიკიდან გამომდინარე, რუსეთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასავლეთის მიერ უკრაინისათვის მიწოდებული დახმარების შეფერხება ან შეჩერება. ამის მიღწევის ერთ-ერთი პოტენციური გზა ინფორმაციით მანიპულირება და საზოგადოებაში უკრაინის დახმარებისადმი უარყოფითი განწყობის შექმნაა. ამასთან, რუსეთის საინფორმაციო კამპანიების მიზანია გლობალური მასშტაბით მისი დადებითად წარმოჩენა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო იზოლაციის დასრულებას.

არსებული სიტუაციის გათვალისწინებით გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ ორკესტრირებული საინფორმაციო ოპერაციები ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე შესამჩნევად გაიზარდა. აღნიშნული დასტურდება დანაშაულებრივი ჯგუფების სისტემატური გამოაშკარავებითაც, რომლებიც უკრაინის შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებენ. 2023 წლის მიწურულს საფრანგეთის სახელმწიფოს სპეციალურმა უწყებამ პრორუსული პროპაგანდის დიდ ქსელს მიაგნო, სახელწოდებით Portal Kombat, რომელიც 193 საიტს აერთიანებდა და ცრუ ინფორმაციის გავრცელებით იყო დაკავებული საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, პოლონეთში, ესპანეთში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში (Euronews, 2024). სამართალდამცავებმა ფარული ქსელები ასევე აღმოაჩინეს ჩეხეთსა და გერმანიაშიც (Antonyuk, 2024).

დეზინფორმაციული საიტები უკრაინას ძირითადად კორუმპირებულ სახელმწიფოდ წარმოაჩენენ, რომლისთვის გაღებული დახმარებაც კერძო პირების პირად ინტერესებს ხმარდება. მაგალითად, უკრაინის პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის წინააღმდეგ გავრცელდა ცრუ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მას 75 მილიონ აშშ დოლარად შეფასებული ორი საზღვაო იახტის შეძენა ბრალდებოდა (Melkozerova, 2024). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არ შეესაბამებოდა სიმართლეს და არც სანდო წყაროებს ეყრდნობოდა, ინფორმაციამ საზოგადოების ფართო წრეებამდე მიაღწია. ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნული ინფორმაცია, საკუთარი სოციალური გვერდების მეშვეობით უკრაინისადმი სკეპტიკურად განწყობილმა პოლიტიკოსებმაც გააზიარეს, რითიც ცალსახად ეჭვქვეშ დააყენეს უკრაინისთვის გაწეული დახმარების მიზანშეწონილობა. ინფორმაცია გავრცელდა იმ დროს, როდესაც ამერიკის კონგრესში ახალი პაკეტის დამტკიცების საკითხი განიხილებოდა. ვოლოდიმირ ზელენსკის წინააღმდეგ ვირუსულად გავრცელებული დეზინფორმაცია მხოლოდ ერთი მაგალითია იმ უამრავ მსგავს ინფორმაციას შორის, რომელიც რუსეთის ორგანიზებით ვრცელდება.

ხაზგასასმელია, რომ საინფორმაციო ოპერაციებისთვის რუსეთი იყენებს როგორც დიპლომატიურ არხებს, ისე ტელევიზიასა და სოციალურ მედიას. სოციალური მედიის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ცრუ ინფორმაციის სწრაფად გავრცელება, რომელსაც გამოუსწორებელი პოლიტიკური ზიანის გამოწვევა შეუძლია მანამ, სანამ სიმართლე დადგინდება. სოციალურმა მედიამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც რუსეთის მიერ დაფინანსებული ან მხარდაჭერილი მედიასაშუალებების წინააღმდეგ სანქციები დაწესდა და მათი მაუწყებლობა შეიზღუდა. ამასთან, სოციალურ მედიაში ცრუ ინფორმაციის გავრცელებას ხელს უწყობს ხელოვნური ინტელექტის განვითარებაც, რომელიც დიდი მოცულობით დეზინფორმაციული შინაარსის მქონე პროდუქტის მოკლე დროში შექმნის საშუალებას იძლევა. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით საინფორმაციო ოპერაციების წარმართვა რუსეთის ჰიბრიდული ომის უკვე კარგად ნაცადი, აპრობირებული მექანიზმია.

რუსეთის ჰიბრიდული ომის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კიბერთავდასხმები წარმოადგენს. წლების განმავლობაში რუსეთი სრულყოფილ კიბერაქტორად ჩამოყალიბდა. კიბეროპერაციები ხშირად ინფორმაციული ომის შემავსებელია. სპეციალურად შერჩეულ დროს, სხვადასხვა დახურული ინფორმაციის მოპოვებითა და გამჟღავნებით, კიბერშეტევებს შეუძლიათ საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება და დაპირისპირების გამწვავება, თუმცა, გარდა ამისა, რუსეთი მსგავს შეტევებს სხვა ამოცანებისათვისაც იყენებს. კერძოდ, მისი მეშვეობით შესაძლებელია მოწინააღმდეგის კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანება და სხვადასხვა სახელმწიფო სერვისების შეფერხება, რაც სერიოზულ რისკებს ქმნის უსაფრთხოებისთვის. როგორც საინფორმაციო ომის შემთხვევაში, უკრაინის ომმა გააჩინა დამატებითი ამოცანების საჭიროება და გარკვეულწილად შეიცვალა ფოკუსი: მიმდინარე მცდელობების ძირითად ამოცანას დასავლეთის მიერ უკრაინისთვის დახმარების მიწოდების ხელშეშლა ან შურისძიება წარმოადგენს.

არსებული ცნობების თანახმად, რუსეთის მიერ დასავლეთის წინააღმდეგ ორკესტრირებული კიბერთავდასხმების ინტენსივობა უკრაინაში შეჭრის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა. აღნიშნულზე მიუთითებენ როგორც სამთავრობო უწყებების, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლები (Kaushkin, 2023, გვ. 4). კიბერთავდასხმებს შორის გამოსარჩევია „შეტევები მომსახურების დაბლოკვის მიზნით“ (Denial-of-Service Attacks (DDoS). ევროკავშირის კიბერუსაფრთხოების სააგენტოს (ENISA) 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, რომელმაც შეისწავლა 2022-2023 წლების განმავლობაში DDoS ინციდენტები, აღმოჩნდა, რომ 310 იდენტიფიცირებული თავდასხმიდან დაახლოებით ნახევარი დაკავშირებული იყო რუსეთ-უკრაინის ომთან. ამასთან, ინციდენტების 43% მიზნად ისახავდა ანგარიშსწორებას, მათ შორის უმეტესობა კი „...პრორუსული ჰაკერული ჯგუფების მიერ იქნა განხორციელებული. აღნიშნული ჯგუფები, თავის მხრივ, თავდასხმებს იმ ქვეყნებისა

და ორგანიზაციების წინააღმდეგ ახორციელებდნენ, რომლებიც რუსეთის უკრაინაში შეჭრას ეწინააღმდეგებოდნენ ან უკრაინას დახმარებას აწვდიდნენ“ (ENISA, 2023, გვ. 20). ჰაკერების მთავარ სამიზნეს საჯარო ადმინისტრაციები, ფინანსური ინსტიტუტები, ჯანდაცვის დაწესებულებები და სხვა მომიჯნავე სექტორები წარმოადგენდნენ. 2023 წლის აგვისტოში, ერთ-ერთი ასეთი ცნობილი ინციდენტის დროს, ჰაკერებმა შეძლეს პოლონეთის სარკინიგზო სისტემის წყობიდან გამოყვანა, რის შედეგადაც 20 მატარებელი გაჩერდა. აღნიშნული ინციდენტისას თავდამსხმელებმა სადგურის რადიოში რუსეთის ჰიმნი და პუტინის მიმართვა გაუშვეს (Praks, 2024, გვ. 17).

რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად კიბერთავდასხმების სერია ასევე განხორციელდა პოლიტიკოსებსა და თავდაცვის უწყებების წარმომადგენლებზე გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში. არაერთი ასეთი კიბერთავდასხმის უკან ჯგუფი ‘APT 28’ იდგა, რომელიც მხილებულია რუსეთის სამხედრო დაზვერვასთან პირდაპირ კავშირში (O,Carrol, 2024). გავრცელებული ცნობით, გერმანელ სამხედროებზე ერთ-ერთი ასეთი კიბერშეტევა გერმანიის მიერ უკრაინისათვის ‘Leopard 2’ ძირითადი საბრძოლო ტანკების გადაცემის საპასუხოდ განხორციელდა (Praks, 2024, გვ. 18).

ბოლო წლების დაკვირვება ასევე ცხადყოფს, რომ კიბერთავდასხმებისა და საინფორმაციო ოპერაციების ინტენსივობა განსაკუთრებით იზრდება წინასაარჩევნო პერიოდში. ასეთი ოპერაციებით კრემლი მისთვის სასურველი კანდიდატებისათვის ხელისუფლებაში მოსვლის შანსების გაზრდას და საპირწონედ მისთვის არასასურველი პოლიტიკოსების მარგინალიზებას ცდილობს. კრემლის ჰიბრიდული პოლიტიკის ასევე მნიშვნელოვან ელემენტს ანტისისტემური და პრორუსული ძალების მხარდაჭერა წარმოადგენს, რაც მიზნად ისახავს დასავლეთში საზოგადოების დაყოფას, პოლარიზებას და დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი უნდობლობის გაჩენას. არსებითია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, რომელიც კრემლისთვის მისაღებ პოლიტიკოსებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ეხმარებოდა, რუსეთი, იდეოლოგიური თვალსაზრისით, უფრო მოქნილია. „ზედაპირული დაკვირვებაც კი ცხადყოფს, რომ არ არსებობს რამე კონკრეტული, არსობრივი, იდეოლოგიური სიმპათიები პოლიტიკური სპექტრის ფართო დიაპაზონში - ულტრამემარჯვენე ძალებიდან ულტრამემარცხენე ძალებამდე“ (ვიჩოვა, 2018, გვ. 266). უკრაინის ომის ფონზე აღნიშნულმა დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა. კრემლი იმედს ამყარებს ანტისისტემურ, რადიკალ პოლიტიკოსებზე, რომლებიც ნაკლებად ემხრობიან უკრაინისთვის თანხების გამოყოფას. სავარაუდოა, რომ ეს ჯგუფები, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, უკრაინის სამხედრო დახმარებას შეაჩერებენ.

გარდა საინფორმაციო და კიბეროპერაციებით მხარდაჭერისა, კრემლი მათ ასევე გამოუყოფს ფულად დახმარებას. ცნობილია, რომ მარინ ლე პენის პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც საფრანგეთის რადიკალურ მემარჯვენე ფრთას წარმოადგენს, 2014 წელს რუსეთისგან 9 მილიონი ევრო ისესხა (ვიჩოვა, 2021, გვ. 264). ამასთან, კრემლი ანტისისტემურ და რადიკალური იდეოლოგიის პარტიებს მაღალი დონის შეხვედრებს სთავაზობს რუსეთში, რითიც ამომრჩეველთა გარკვეულ კატეგორიაში მათ პოპულარიზაციას და ლეგიტიმაციას ახდენს. მიმდინარე წლის ივნისში ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში მიიღო ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი მილორად დოდიკი. მისი მხარდაჭერით მოსკოვი ახერხებს „...შეასრულოს გამფუჭებლის როლი და ხელი შეუშალოს ბოსნია-ჰერცეგოვინის სვლას ნატოსა და ევროკავშირისკენ“ (Bechev, 2024).

უკრაინაში მიმდინარე ომის პარადიგმულად კიდევ უფრო გამოიკვეთა კავშირები პუტინსა და ევროპის სხვადასხვა ულტრამემარჯვენე პარტიებს შორის. რუსეთს ახლო კონტაქტები აქვს საფრანგეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის და სხვა ევროპულ სახელმწიფოთა ულტრამემარჯვენე პარტიებთან (Lindstaedt, 2024). ბევრი მათგანისთვის რუსეთი არა მხოლოდ დაფინანსების, არამედ ინსპირაციის წყაროცაა. პუტინი "სამაგალითოა" თავისი კონსერვატიზმით და ძლიერი პოზიციით ლიბერალური დასავლეთის წინააღმდეგ. „რუსეთი თავისი ულტრამემარჯვენე გადახრით, ავტორიტარიზმითა და ანტივესტერნიზმით ბევრი მათგანისთვის ანტილიბერალური მოდელის როლს ასრულებს" (Lindstaedt, 2024). რუსეთის მიმართ არსებული განწყობები კარგად აისახება ულტრამემარჯვენე ძალების პოზიციებში, როგორც უკრაინის მხარდაჭერასთან დაკავშირებით, ისე რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებში.

მიგრაციის ინსტრუმენტალიზაცია

რუსეთის ჰიბრიდული ომის არსენალში ასევე შედის მიგრანტთა საკითხის ორკესტრირებული გამოყენება, რაც უშუალოდ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ არის მიმართული. ამ ფენომენმა განსაკუთრებული დატვირთვა ბოლო წლებში შეიძინა. ბელარუსთან ერთად, რუსეთი ხელოვნურად ქმნის მიგრაციულ ნაკადებს, იწვევს სასაზღვრო ზონებში გადატვირთვას და ამით ხელს უწყობს კრიზისული კერების გაჩენას. ამ შემთხვევაშიც მთავარი მიზანი ევროპის საზოგადოებებში დაპირისპირების და დესტაბილიზაციის გამოწვევაა.

მიგრანტების პოლიტიკური მიზნით გამოსაყენებლად გამოიკვეთა კონკრეტული სქემა: სხვადასხვა კონტინენტებიდან თავშესაფრის ან უკეთესი ცხოვრების მაძიებელი ადამიანები რუსეთსა და ბელარუსში ჩადიან, საიდანაც მათ ევროკავშირის ქვეყნებში მოხვედრას ჰპირდებიან. მათი მიყვანა ევროკავშირის აღმოსავლეთ ქვეყნების საზღვრებთან - ლიეტუვასთან, ლატვიასთან, ესტონეთთან, ფინეთსა და პოლონეთთან ერთბაშად დიდი ნაკადებით თავად რუსეთისა და ბელარუსის ძალისხმევით ხორციელდება. შედეგად, სასაზღვრო ზონები იტვირთება, რაც, თავის მხრივ, არეულობასა და ჰუმანიტარული კრიზისის წინაპირობას ქმნის.

ამ სქემით მოქმედებისას ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვრებთან არაერთი კრიზისი შეიქმნა: 2021 წელს სიტუაცია ლიეტუვას, ლატვიისა და პოლონეთის სასაზღვრო ზონაში დაიძაბა, რასაც მათ ფორტიფიკაციების გამაგრებითა და კონტროლის გამკაცრებით უპასუხეს; 2023 წელს რუსეთი მიგრაციის ინსტრუმენტალიზაციას უკვე ფინეთის წინააღმდეგ შეეცადა, მისი ნატოში გაწევრიანების საპასუხოდ. „რუსი მესაზღვრეების ქცევაში უცაბედი ცვლილება დაფიქსირდა - მათ ნება დართეს ადამიანებს, შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე, ფინეთის სასაზღვრო პუნქტებში გადასულიყვნენ. ზოგიერთი მათგანი რუსეთში ცხოვრობდა, დანარჩენები კი პირდაპირ ახლო აღმოსავლეთიდან იყვნენ ჩასული, სადაც სოციალური მედიის საშუალებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თავისუფლად შეძლებდნენ ფინეთში შესვლას“ (Praks, 2024, გვ. 19). ამის საპასუხოდ ფინეთმა დაკეტა სასაზღვრო ზონები, რაც მოგვიანებით სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროებით ახსნა.

არსებითია, რომ მოქმედებებში გამოვლინდა რუსეთის სახელმწიფო უწყებების პირდაპირი ჩარევა, რასაც ფინური მხარე ადასტურებს. საგამოძიებო მედიის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციით გაირკვა, რომ სასაზღვრო ზონამდე მისვლაში მიგრანტებს რუსეთის სპეციალური სამსახურები ეხმარებოდნენ. ცხადია, რუსეთი ამ და სხვა მსგავს ბრალდებებს უარყოფს და მორიგ დეზინფორმაციად მოიხსენიებს (Praks, 2024, გვ. 20), რაც კრემლის ჰიბრიდული ომისთვის დამახასიათებელი კარგად ნაცადი პრაქტიკაა.

სხვადასხვა ტიპის ძირგამომთხრელი ქმედებები

რუსეთის ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს საბოტაჟის, ვანდალიზმის, პოლიტიკური მკვლელობებისა თუ სხვადასხვა ტიპის ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის მისი სპეცსამსახურების და აგენტურული ქსელის გამოყენება წარმოადგენს. ეს ქმედებებიც იმ ფართო მიზნებს შეესაბამება, რომლებიც რუსულ ჰიბრიდულ ომს გააჩნია. ის ასევე მოიცავს კონკრეტულ, სპეციფიკურ ამოცანებს, ისეთებს, როგორებიცაა: არამეგობრული პოლიტიკური რეჟიმების გადატრიალება ან საქმიანობის ხელშეშლა, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების განეიტრალება, საზოგადოების დაყოფა, შიშის დათესვა თუ სხვა. 2022 წლის შემდეგ სიას დაემატა ამოცანები, რომლებიც უშუალოდ უკრაინის ომთანაა კავშირში. კერძოდ: უკრაინისთვის სამხედრო დახმარების შეზღუდვა, დასავლური სამხედრო ინდუსტრიის შეფერხება და დასავლური იარაღის ტრანსპორტირების ხელშეშლა.

პოლიტიკური მიზნების მისაღწევად აგენტურულ საქმიანობას რუსეთში დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს აგენტები აქტიურად მოქმედებდნენ სხვადასხვა ავანტიურისტული სქემებით მოსკოვის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით. მაგალითად, საბჭოთა კავშირის დაზვერვამ 1920-იან წლებში, ხელისუფლებაში მოსკოვისთვის სასურველი პარტიების მოსაყვანად, აჯანყებები დაგეგმა გერმანიაში, ესტონეთში, რუმინეთში (Watling, 2024, გვ 4). ცივი ომის დროს აგენტურული საქმიანობა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა. მოგვიანებით, უკვე ამ საქმეში დაგროვილი ინსტიტუციური ცოდნა და მეთოდოლოგია რუსეთის რესპუბლიკამ აითვისა და ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ წამყვან კომპონენტად აქცია.

სპეცსამსახურებისა და აგენტების აქტიური მონაწილეობით 2014 წელს ყირიმის ოპერაცია და შემდგომი ოკუპაცია განხორციელდა, 2016 წელს კი გადატრიალება დაიგეგმა მონტენეგროში. ეს უკანასკნელი ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის ხელშეშლას ისახავდა მიზნად, თუმცა ოპერაცია ჩავარდა. მსგავსად ამისა, რუსეთის სამსახურში მყოფი აგენტური ჯგუფების ორგანიზებით ან პირდაპირი მონაწილეობით განხორციელდა არაერთი გახმაურებული მკვლელობა, როგორც რუსეთის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. მათ შორის იყო 2019 წელს ბერლინში, საქართველოს მოქალაქის, წარმოშობით ჩეჩენის,

ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობა. მკვლელობაში ბრალდებული ვადიმ კრასიკოვი 2024 წელს, მძევალთა გაცვლის შედეგად, რუსეთში დაბრუნდა. აღნიშნულ შემთხვევას მოჰყვა რუსეთის აღიარება, რომ მკვლელი რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომელი იყო.

პოლიტიკური ოპონენტების მოსაცილებლად ერთ-ერთ აპრობირებულ გზას რუსეთის მიერ ქბრბ (ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული, ბირთვული) იარაღის გამოყენება წარმოადგენს, რომლის არაერთი მაგალითი არსებობს. მათ შორის ყველაზე გახმაურებული ინციდენტი 2018 წელს დაფიქსირდა, როდესაც რუსეთის სპეცსამსახურებმა ორმაგი აგენტის, სერგეი სკრიპალის მკვლელობა ნერვული აგენტით, „ნოვიჩოკით“, სცადეს (Sauer, 2023). ამ დრომდე ქბრბ იარაღი რჩება რუსეთის ხელში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა განეიტრალების ეფექტიან მექანიზმად.

უკრაინაში ფართომასშტაბიანი ინტერვენციის შემდეგ, რუსეთის სადაზვერვო და აგენტურული შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შესუსტდა - ევროპის კონტინენტის მასშტაბით დაახლოებით 600 დიპლომატს შეუწყდა უფლებამოსილება. მოგვიანებით, დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის ცნობაზე დაყრდნობით, გაირკვა, რომ მათგან დაახლოებით 400 პირი აგენტურულ საქმიანობას ეწეოდა (Walsh, 2022), თუმცა აღნიშნულ ფაქტს რუსეთისთვის ხელი არ შეუშლია, გაეგრძელებინა სხვადასხვა ტიპის ძირგამომთხრელი საქმიანობა. კრემლმა მნიშვნელოვნად შეცვალა მიდგომები და საქმიანობის ეფექტიანად განსახორციელებლად ფოკუსი კრიმინალურ ჯგუფებზე, საზღვარგარეთ მცხოვრებ რუს მოქალაქეებზე და რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტებზე გადაიტანა. იკვეთება, რომ რუსეთი გაძევებული დიპლომატების ჩანაცვლებას ამ ჯგუფებით ან ადგილობრივი მოსახლეობის მოსყიდვით ცდილობს. მაგალითად, გავრცელებული ინფორმაციით, გერმანიის ორ მოქალაქეს, რომლებსაც რუსეთის სასარგებლოდ აგენტურული საქმიანობისათვის ბრალი წარედგინათ, მოსკოვისაგან 400,000 ევროს ოდენობის თანხა გადაეცათ (Escritt and Marsh, 2024).

დიპლომატთა მასობრივი გამოძევების შემდეგ, რუსეთის სპეცსამსახურების ორგანიზებით არაერთი ოპერაცია დაიგეგმა, რომელთაგან ზოგიერთი პირდაპირ იყო დაკავშირებული რუსეთ-უკრაინის ომთან. მაგალითად, ევროპის მასშტაბით არაერთ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ შენობაზე ხანძრის გაჩენის ფაქტი დაფიქსირდა. რუსეთი ხანძრებთან მის კავშირს აბსურდულს უწოდებს, თუმცა, გავრცელებული მოსაზრებით, უმეტეს შემ-

თხვევებში, ინციდენტების უკან სწორედ კრემლი იდგა (O'carrol, 2024). რუსეთის ორგანიზებითვე იგეგმებოდა გერმანული სამხედრო საწარმოს, Rheinmetall-ის, აღმასრულებელი დირექტორის მკვლელობა, თუმცა სამართალდამცავმა ორგანოებმა დროული მოქმედება და ოპერაციის ჩაშლა შეძლეს (Euronews, 2024). ცოტა ხნით ადრე ესპანეთში მოკლეს რუსეთის არმიის დეზერტირი მაქსიმ კუზმინოვი. ესპანეთის სადაზვერვო სამსახურის მიხედვით, მკვლელობა რუსეთის მიერ იყო ორგანიზებული (Politico, 2024).

რუსეთის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა პოლონეთი, რომელიც უკრაინისათვის სამხედრო დახმარების მიწოდების უმნიშვნელოვანესი ჰაბია. ამ შემთხვევაში თავდასხმების ძირითად სამიზნეს ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. პოლონეთის ხელისუფლებამ უცხო ქვეყნის არაერთი მოქალაქე დააკავა, რომლებსაც ბრალად დივერსიული აქტების განხორციელება და საინფორმაციო ოპერაციების ჩატარება წარედგინათ (Praks, 2024, გვ. 16). მთლიანობაში, „...სხვადასხვა რეგიონებში დაფიქსირებული დივერსიისა და ვანდალიზმის ინციდენტების მზარდი რიცხვი, რაც რუსეთთანაა უშუალოდ დაკავშირებული, ცხადყოფს, რომ რუსები ცდილობენ შერჩეულ სახელმწიფოებში ამგვარი მცდელობები გააძლიერონ" (Praks, 2024, გვ. 17).

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიანი ომის პარალელურად, რუსეთის მიერ დასავლეთის წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის წარმოება და მის ზოგიერთ მიმართულებაზე ძალისხმევის გაზრდა ხაზს უსვამს კონფლიქტის ამ სახეობის აქტუალურობასა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას. რუსეთის ჰიბრიდული ომი, რომელიც ერთი დიდი კამპანიის ფარგლებში პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს ხელთ არსებული სხვადასხვა ინსტრუმენტის, მათ შორის სამხედრო და არასამხედრო მეთოდის, სინქრონულ გამოყენებას გულისხმობს, კვლავაც რჩება დასავლეთთან დაპირისპირების ძირეულ სტრატეგიად. რუსეთის მიერ აღნიშნული მიდგომის 'ერთგულება' ნაკარნახევია მისი დაბალხარჯიანობით, კრემლის რევანშისტული ამბიციებით და თავად დასავლეთის მოწყვლადობითა და სისუსტეებით, რომელიც ჰიბრიდული ომის წარმოებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

რუსეთის ჰიბრიდული ომი განგრძობითობით ხასიათდება. წლებია, არსებითად არ იცვლება როგორც საბოლოო მიზნები და მოქმედებათა ძირითადი ტრაექტორია, ისე გამოყენებული მეთოდები, თუმცა რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის შედეგად გარკვეულწილად შეიცვალა ფოკუსი და ამოცანები: მიმდინარე ომის პარალელურად დამატებითი აქცენტი უკრაინისთვის დასავლური დახმარების შეჩერებასა და საერთაშორისო იზოლაციის გარღვევაზე გაკეთდა. ბოლო წლების განმავლობაში ამ და სხვა დასახული ამოცანების შესასრულებლად აქტიურად იქნა გამოყენებული საინფორმაციო ოპერაციები, კიბერთავდასხმები, დივერსიები და სხვა აგრესიული მოქმედებები. კრემლის პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობით, ჩატარდა მრავალი ოპერაცია, რომელთა ნაწილი წარმატებული გამოდგა და კონკრეტულ მიზანსაც მიაღწია. მაგალითად, რუსეთის საინფორმაციო ოპერაციების შედეგად, რიგი საკითხების ირგვლივ დასავლურ საზოგადოებებში მოხდა დაპირისპირების გაღვივება. დივერსიული ქმედებების შედეგად, რამდენიმე შემთხვევაში, მოხდა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანება ან შეფერხება, ხოლო ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერის შედეგად - დემოკრატიული ინსტიტუტების შეჯანჯღარება.

თუმცა, ამასთან ერთად, ხაზგასასმელია, რომ მთლიანობაში წარმატებები შეზღუდული ხასიათისაა. დასავლურმა დემოკრატიებმა აჩვენეს მედეგობა და დროსთან ერთად ადაპტირდნენ კრემლიდან მომავალი საფრთხეებისგან დასაცავად. მიუხედავად მისი ბევრი უპირატესობისა, ამ დრომდე, რუსეთის ჰიბრიდული ომი ვერ უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დამოუკიდებლად იმისგან, თუ რამდენად შედეგიანია ჰიბრიდული ომი, რუსეთი, ახლო და საშუალო პერსპექტივაში, გააგრძელებს დასავლეთის წინააღმდეგ მის წარმოებას. მკაფიოდ ჩანს, რომ რუსეთში არსებული რეჟიმის ბუნებიდან გამომდინარე, მუდმივ დაპირისპირებაში ყოფნა არა მხოლოდ პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება, არამედ ბუნებრივი მდგომარეობაა. დიდი აღბათობით, რუსეთის ჰიბრიდული ომი, რომელიც კრემლისთვის, შეზღუდული რესურსების პირობებში, დასავლეთთან დაპირისპირების ოპტიმალურ სტრატეგიას წარმოადგენს, გაგრძელდება მანამ, სანამ ფუნდამენტურად არ შეიცვლება თავად რუსეთი და მისი მმართველობის სისტემა.

ბიბლიოგრაფია

ანთაძე, გიორგი (2024) ‘საერთაშორისო წესრიგის ტრანსფორმაცია და კანონი "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“,’ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, https://socialjustice.org.ge/ka/products/saertashoriso-tsesrigis-transformatsia-da-kanoni-utskhouri-gavlenis-gamchvirvalobis-shesakheb?fbclid=IwY2xjawEhjGhleHRuA2FlbQIxMAABHcHwn61IW8aKPUC8V1IP90i0OMe53meYqZZkWC8fIgSLvNmF7NTPGRQvnA_aem_DSkSd-UWDJ2Ap7eFUsz9Zw

ანთაძე, გიორგი (2020) ‘ჰიბრიდული ომის გააზრებისთვის’, ჯეოქეისი, https://www.geocase.ge/ka/publications/38/hibriduli-omis-gaazrebistvis

ბუტიკაშვილი, გიორგი (2021), ‘ომის კომპლექსური ხასიათი XXI საუკუნეში’, წიგნში ჰიბრიდული ომების ანატომია, თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L გვ. 57-72

ვიჩოვა, ვერონიკა (2021) ‘რუსეთის საინფორმაციო ოპერაციები აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში’, გვ. 248-271

ქავთარაძე, ნიკოლოზ, (2023) ‘ჰიბრიდული ომი და რუსეთის მიერ წარმოებული თანამედროვე ომი’, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი, ექსპერტის აზრი № 201;

Adamsky (2021) ‘Russian Main Military Political Directorate: Applied History and Theory of Victory’, The Russia Strategic Initiative MMPD Monograph, № 2, pp. 1-3,

Antoniu, Daryna (2024) 'Nation-state Technology News Cybercrime Get more insights with the Recorded Future Intelligence Cloud. Learn more. Russian disinformation network’s infrastructure is spread across Europe, report says', The Record, https://therecord.media/doppelganger-disinformation-infrastructure-european-companies

Bechev, Dimitar (2024) 'Between the EU and Moscow: How Russia Exploits Divisions in Bosnia', Carnegie Europe, https://carnegieendowment.org/research/2024/06/bosnia-between-russia-eu?lang=en

Bilal, Arsalan, (2024) ‘Russia’s hybrid war against the West’, NATO Review, 26 April, https://www.nato.int/docu/review/articles/2024/04/26/russias-hybrid-war-against-the-west/index.html

Cassidy, Kathryn and Svitlana Odynets (2024) ‘Border and migration politics and the Kremlin’s hybrid war’ UK in a Changing Europe, https://ukandeu.ac.uk/border-and-migration-politics-and-the-kremlins-hybrid-war/

Clark, Mason, (2020) Russian Hybrid Warfare, Washington: Institute for the Study of War;

Escritt, Thomas and Sarah Marsh (2024) 'Russia buying spies to make up for expelled diplomats, German agency says', The Reuters, https://www.reuters.com/world/europe/russia-buying-spies-make-up-expelled-diplomats-german-agency-says-2024-06-18/

Fridman, Ofer, (2018) Russian Hybrid Warfare, New York: Oxford University Press

Fried, Daniel and Kurt Volker (2022) ‘The Speech In Which Putin Told Us Who He Was’, Politico, Opinion, https://www.politico.com/news/magazine/2022/02/18/putin-speech-wake-up-call-post-cold-war-order-liberal-2007-00009918

Galeotti, Mark, (2017) ‘Controlling Chaos: How Russia Manages Its Political War in Europe’, European Council on Foreign Relations, Policy Brief;

Galeotti, Mark, (2016) ‘Hybrid, ambiguous, and non-linear? How new is Russia’s ‘new way of war’?’, Small Wars & Insurgencies, № 27, Vol. 2, 2016, pp.282-301;

Hoffman, Frank, (2007) Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars, Virginia: Potomac Institute for Policy Studies;

Jack, Watling, Oleksandr V Danylyuk, and Nick Reynolds (2024), ‘The threat from Russia’s Unconventional Warfare Beyond Ukraine, 2022-24’, RUSI, Special Report, https://www.rusi.org/explore-our-research/publications/special-resources/threat-russias-unconventional-warfare-beyond-ukraine-2022-24#:~:text=1%20Up%20until%20Russia's%20full,%2Dcalled%20'grey%20zone'.

Johnson, Oscar (2021) ‘Evolution of Russian Hybrid Warfare: EU/NATO’, CEPA, Comprehensive Reports, https://cepa.org/comprehensive-reports/the-evolution-of-russian-hybrid-warfare-eu-nato/

Kaushik, Anushka (2023) 'The War on Ukraine: A Look at (Underemphasised) Russian Cyber Operations', Globsec Cyber Brief https://www.globsec.org/sites/default/files/2023-07/Cyber%20Brief%20Russian%20Cyber%20Operations_0.pdf

Lindstaedt, Natasha (2024) 'European populists back Putin as they roll out their anti-Ukraine positions', The Conversation, https://theconversation.com/european-populists-back-putin-as-they-roll-out-their-anti-ukraine-positions-232301

Mikiani, Mariam and Luka Chitiani (2024) ‘Migrants as a tool of hybrid warfare: Analysis of the recent Finnish-Russian border tensions’ GFSIS, https://gfsis.org/en/migrants-as-a-tool-of-hybrid-warfare-analysis-of-the-recent-finnish-russian-border-tensions/

Melkozerova, Veronika (2024) 'Fact-checking J.D. Vance's statements on Ukraine', Politico https://www.politico.eu/article/jd-vance-europe-russia-ukraine-donald-trump-kyiv-vp-pick-policy-us-elections-ohio-aid-war/

Mumford, Andrew (2020) ‘Understanding hybrid warfare’, Cambridge Review of International Affairs, № 33, V. 6, 2020, p. 824-827;

O'Carrol, Lisa (2024) 'Germany summons Russian envoy over 2023 cyber-attacks', The Guardian, https://www.theguardian.com/world/article/2024/may/03/germany-says-russians-behind-intolerable-cyber-attack-last-year

O'Carroll, Lisa (2024) 'Europe on high alert after suspected Moscow-linked arson and sabotage', The Guardian, https://www.theguardian.com/world/article/2024/may/30/europe-on-high-alert-after-suspected-moscow-linked-arson-and-sabotage

Person, Robert, Isaak Kulalic and John Mayle (2024), ‘Back to the future: the persistent

problems of hybrid war', International Affairs, V. 100, Issue 4, pp. 1749–1761,

Praks, Henrik, (2024) 'Russia's hybrid threat tactics against the Baltic Sea region: From disinformation to sabotage,' Hybrid CoE Working Papers, №32;

Ruiz Palmer, Diego (2015) 'Back to the Future? Russia's Hybrid Warfare, Revolutions in Military Affairs, and Cold War Comparisons', Research Paper no. 120, NATO Defence College, Rome, p. 1-12

Sauer, Pjotr (2023) 'Twenty years of ruthlessness: how Russia has silenced Putin's opponents', The Guardian, https://www.theguardian.com/world/2023/aug/27/history-killing-how-russia-has-silenced-putins-opponents

Seely, Bob, (2018) 'A Definition of Contemporary Russian Conflict: How does the Kremlin Wage War?', Henry Jackson Society, Russia and Eurasia Studies Centre https://henryjacksonsociety.org/wp-content/uploads/2018/06/A-Definition-of-Contemporary-Russian-Conflict-new-branding.pdf

Walsh, Nick P. (2022) 'Russian spying in Europe dealt 'significant blow' since Ukraine war, MI5 chief says', CNN https://edition.cnn.com/2022/11/16/uk/mi5-chief-russia-spying-iran-china-threats-intl/index.html

(2015) 'Complex crises call for adaptable and durable capabilities', The Military Balance, № 115, Vol.1, p., 5-8

(2023) 'ENISA Threat Landscape for DoS Attacks', 2023, https://www.enisa.europa.eu/publications/enisa-threat-landscape-for-dos-attacks

(2024) 'Germany 'won't be intimidated' by Russian assassination reports', Euro News, https://www.euronews.com/2024/07/12/germany-wont-be-intimidated-by-russian-assassination-reports

(2024), 'French agency uncovers pro-Russian propaganda network', Euro News, https://www.euronews.com/next/2024/02/13/french-agency-uncovers-pro-russian-propaganda-network

(2024) 'Moscow hired gunmen to murder Russian defector, Spanish intel says', Politico https://www.politico.eu/article/russia-ukraine-war-murder-maksim-kuzminov-spain-intelligence/

Герасимов, Валерий (2016) 'Гибридная война требует высокотехнологичного оружия и научного обоснования', Военное обозрение, https://topwar.ru/92056-po-opytu-sirii.html